გენერალური რეპეტიცია

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 3 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (მინსკი) 4:1 (4:0).

თბილისი: გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, კაკილაშვილი (სვანაძე), ცავა, გუცაევი, ყიფიანი, ჟვანია (შენგელია).

მინსკი: კურბიკო, ბოროვსკი, კურნენინი, ტრუხანი, შიშკინი, პროკოპენკო, გოცმანოვი (რუმბუტისი), ზაგმანტოვიჩი, მელნიკოვი, კონდრატიევი, ვასილევსკი (გურინოვიჩი).

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

მაყურებლები – 55.000 .

თბილისისა და მინსკის დინამოელთა მატჩის სარეცენზიო წერილის ეს სათაური მოულოდნელი და გასაკვირი არ უნდა იყოს, მათთვის, ვინც კი უახლოეს ოთხშაბათის მეტად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი მატჩის მოლოდინშია, ვინც კარგად იცის, თუ რად ფასობს ჩვენი გუნდის მომავალი ნახევარფინალური თამაში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ლიეჟის „სტანდარდთან“. ფეხბურთის მოყვარული, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ეს იყო ძალზე სასარგებლო, ნამდვილი გენერალური რეპეტიცია, რომელმაც გარკვეულად წარმოგვისახა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ახლანდელი სპორტული ფორმა და მზადყოფნა, მოთამაშეთა საბრძოლო განწყობა.

თუ გადავხედავთ თბილისისა და მინსკის თანაკლუბელთა შეხვედრების ისტორიას საკავშირო ჩემპიონატებში, 3 აპრილის მატჩის შედეგში არაფერია ისეთი, გაოცება რომ გამოიწვიოს. მსგავსი ანგარიშით ერთხელ და ორჯერ როდი დაგვიმარცხებია ეს გუნდი, მაგრამ ახლა ნიუანსი მაინც არის: მინსკის „დინამო“ წლეულს დიდად განსხვავდება ადრინდელისგან, 3 აპრილისთვის იგი გათამაშების ერთ–ერთი ლიდერი იყო წინა 2 ტურში აღებული ქულათა მაქსიმუმით. მას დამარცხებული ჰყავდა მოსკოვის განთქმული გუნდები – „დინამო“ და „სპარტაკი“, მინსკელთა შემადგენლობაში გამოდიან მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელები – კურნენინი, პროკოპენკო, გოცმანოვი, ვასილევსკი, გურინოვიჩი, აგრეთვე, სსრ კავშირის ნაკრების წევრი ბოროვსკი. საჭირო იყო ძალების სრული მობილიზება, მთელი ძალით თამაში, ვინაიდან სტუმრები უბრძოლველად არაფერს დათმობდნენ.

მინსკელებს არც დაუთმიათ, მაგრამ, როგორც გამოირკვა, თბილისის „დინამოსთან“ ბრძოლა ამ დღეს მათს ძალასა და შესაძლებლობას აღემატებოდა. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ როცა თბილისელი ფეხბურთელები თამაშობენ სწრაფი ტემპით, სრული მობილიზებით, ენერგიით, მათ ძალუძთ დაძლიონ მოპირდაპირე მხარის ყოველგვარი წინააღმდეგობა. ამის ნათელი დემონსტრაცია იყო განვლილი მატჩი: მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან განავითარეს იერიშები, რომელთა წინაშე მინსკის „დინამოს“ მცველები თითქმის უსუსურად გამოიყურებოდნენ. ისინი ვერც ტექნიკური თვალსაზრისით უმკლავდებოდნენ თბილისელთა ფორვარდებსა და შუა ხაზის მოთამაშეებს, ტაქტიკურადაც ვერ ერკვეოდნენ მეტოქის ჩანაფიქრში. ამიტომ იყო, რომ მათი კარის სიახლოვეს დროდადრო სრული პანიკა სუფევდა, მდგომარეობის ბატონ–პატრონნი თბილისელები იყვნენ.

მასპინძელთა ენერგიული, სწრაფი შეტევის შემდეგ იყო პირველი გოლი, რომელიც მე–14 წუთზე გაიტანა დარასელიამ. ამ სიტუაციაში ძალიან ზუსტად, მახვილგონივრულად ითამაშა ყიფიანმა, „მოძებნა“ თავისუფალ ადგილზე გასული დარასელია, მინსკელთა მცველებს გამორჩათ ამ უკანასკნელის სწრაფი მანევრი და კურბიკომ პირველი ბურთი გამოიტანა ბადიდან.

29–ე წუთზე მინსკელებს კვლავ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან: გუცაევთან ბრძოლისას გოცმანოვმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად დაარღვია თამაშის წესი, მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. ყიფიანმა ზუსტად დაარტყა – 2:0. გავიდა სულ 4 წუთი და სტუმრების კარში აღმოჩნდა მესამე ბურთი, რომელიც იყო ყიფიანისა და გუცაევის შესანიშნავი ურთიერთგაგების შედეგი. მარცხენა ფლანგზე გათამაშებული კომბინაციის შემდეგ გუცაევი წამით ღიად დარჩა მეტოქის კარიდან საკმაოდ მახვილი კუთხით და უძლიერესი დარტყმით გაიტანა ბრწყინვალე ბურთი, ნამდვილი „სუპერ–გოლი“.

42–ე წუთზე მსაჯმა ი. სერგიენკომ მეორე პენალტი დანიშნა სტუმრების კარში, ვინაიდან ზიგმანოვიჩი აშკარად უხეშად ეთამაშა გუცაევს. კურბიკომ მოიგერია ყიფიანის პირველი დარტყმა, მაგრამ ბურთი კვლავ ყიფიანს დაუბრუნდა და ანგარიშიც გაიზარდა – 4:0.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა ოდნავ მოუკლეს შეტევის სიმწვავეს. მართალია, მინსკელთა მხარეს კვლავ მრავლად იქმნებოდა საგოლე მომენტები, ბურთის გატანა შეეძლო შენგელიას, დარასელიას, ცავას, გუცაევს და სხვებსაც, მაგრამ, ვიმეორებთ, ჩვენი გუნდის მოქმედებაში აღარ იგრძნობოდა პირვანდელი ენთუზიაზმი. ამან მინსკელებს საშუალება მისცა რამდენიმე კონტრიერიში

განეხორციელებინათ, ერთ–ერთ მომენტში სულაქველიძისა და კონდრატიევის შეტაკებისას მსაჯმა პენალტი დანიშნა თბილისელთა კარში, პროკოპენკომ კი ძელს მოახვედრა ბურთი. მიმდინარეობდა მატჩის ბოლო წუთი, მასპინძელთა მცველებმა კარის წინ უყურადღებოდ დატოვეს გურინოვიჩი, რომელმაც ახლო მანძილიდან გაიტანა ერთადერთი საპასუხო გოლი.

ბ. ქორქია.

მატჩის დამთავრების შემდეგ მცირეოდენი კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **ა. ჭკუასელს:**

– განვლილი მატჩის მთავარი დამახასიათებელი ამბავია ის, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა გაცილებით უფრო დიდი მობილიზებით, ორგანიზებულად და აქტიურად ითამაშეს, ვიდრე 26 მარტს კიევში. თბილისელებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს მიმდინარე ჩემპიონატის ერთ–ერთ ლიდერთან და ჩემი აზრით, დაამტკიცეს რომ კარგ ფორმაში არიან ლიეჟის „სტანდარდთან“ მატჩის წინ. ჩვენს გუნდში ძლიერად ითამაშა წამყვანმა, ძირითადმა ბირთვმა (გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, დარასელია, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია), მაგრამ საგანგებოდ მინდა გამოვყო ახალგაზრდების არა მარტო დიდი მონდომება და აქტიურობა, არამედ მაღალი საშემსრულებლო კლასიც. წუნი არ ჰქონდათ თავაძეს, კაკილაშვილს, სვანაძეს, ცავას, ჟვანიას, თბილისელებს ასეთი მონდომებით რომ ეთამაშათ კიევშიც, დარწმუნებული ვარ არ წავაგებდით.

ამის მიუხედავად, ზოგიერთი შენიშვნა მაინც მაქვს: შესვენების შემდეგ ჩვენმა გუნდმა რამდენადმე მოადუნა თამაში, თუმცა შეეძლო კიდევ უფრო მეტი ბურთი გაეტანა, უფრო დამაჯერებლად გაემარჯვა, მაგრამ რატომღაც დასჯერდა მიღწეულს და საშუალება მისცა მეტოქეს, რომელიც მანამდე ხელფეხშეკრული ჰყავდა, რამდენიმე კონტრიერიში განეხორციელებინა.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ საკმაო ხნის ავადმყოფობის შემდეგ კოლექტივს დაუბრუნდა უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი, რომლის ხელი ამ მატჩს დიდად ეტყობოდა. თბილისის „დინამოს“ გუნდის უფროსი კახი ასათიანი ამ დღეს ბელგიაში იყო მივლინებული ლიეჟის „სტანდარდის“ მატჩის სანახავად. ვფიქრობ, ჩვენი კოლექტივი ურიგოდ არ გამოიყურებოდა განვლილი შაბათის მატჩში და წარმატებით უნდა ითამაშოს ბელგიელ ფეხბურთელებთან ევროპული თასის ნახევარფინალში.

„ლელო“, 6 აპრილი, 1982 წ.